მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

03/10/2013

რ.ლეკროპირიძე, როგორც შპს „საშხაპე" (ს/კ 404928183) დირექტორი, შემდგომში „მარწმუნებელი",გიორგი დემეტრაშვილი (დაბ.17.09.1980წ, პ/ნ 01024025678), შემდგომში „რწმუნებული", წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებელი და დაიცვას მისი ინტერესები ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც აუცილებელი იქნება მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებელი საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადოს შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები. ისარგებლოს მხარისთვის სამოქალაქო (ადმინისტრაციული) საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით, მათ შორის იმ უფლებებით, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით - უფლებით, სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა.

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში გამარტივებული წარმოების ფარგლებში, ისარგებლოს ზემოთ მითითებული ყველა იმ უფლებით, რაც დაკავშირებულია აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

რწმუნებულება გაცემულია უვადოდ.

შპს .....დირექტორი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com